ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №31
2025 წლის 23 დეკემბერი

ქ. ბოლნისი

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 მარტის №8 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4, მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტების შესაბამისად, შევიდეს ცვლილებები „ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 მარტის №8 დადგენილების (matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 23/03/2022 წ., სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.158.016555) პირველ მუხლში და დანართი №1 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

მუხლი 1

„მუხლი 1.

დამტკიცდეს ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხა და განისაზღვროს თანამდებობრივი სარგოს ოდენობები დანართი №1-ის შესაბამისად.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი სვანიძე**

დანართი №1

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების განსაზღვრის შესახებ

მუხლი 1. პოლიტიკური თანამდებობის პირები

1. საკრებულოს თავმჯდომარე – 1 (თანამდებობრივი სარგო – 6560 ლარი);

2. საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე – 1 (თანამდებობრივი სარგო – 4960 ლარი);

3. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე – 2 (თანამდებობრივი სარგო – 4320 ლარი);

4. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე – 5 (თანამდებობრივი სარგო – 3520 ლარი);

5. საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე – 2 (თანამდებობრივი სარგო – 3200 ლარი);

6. საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე – 9 (თანამდებობრივი სარგო – 2560 ლარი).

მუხლი 2. საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეები

1. ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი:

საკრებულოს აპარატის უფროსი (პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი) –1 (თანამდებობრივი სარგო – 4640 ლარი).

2. პროფესიული საჯარო მოხელეები:

ა) სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება:

ა.ა) განყოფილების უფროსი (მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) – 1 (თანამდებობრივი სარგო – 3680 ლარი);

ა.ბ) პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (მესამე რანგი) – 2 (თანამდებობრივი სარგო –2720 ლარი);

ბ) საორგანიზაციო განყოფილება:

ბ.ა) განყოფილების უფროსი (მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) – 1 (თანამდებობრივი სარგო – 3680 ლარი);

ბ.ბ) პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (მესამე რანგი) – 4 (თანამდებობრივი სარგო –2720 ლარი);

ბ.გ) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (მესამე რანგი) – 1 (თანამდებობრივი სარგო – 2560 ლარი);

გ) მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება:

გ.ა) განყოფილების უფროსი (მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) – 1 (თანამდებობრივი სარგო – 3680 ლარი);

გ.ბ) პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (მესამე რანგი) – 1 (თანამდებობრივი სარგო –2720 ლარი);

გ.გ) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (მესამე რანგი) – 1 (თანამდებობრივი სარგო – 2560 ლარი).